№ 62
სამშაბათი, 1 აპრილი 1897 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვ.	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877 – 1897

ივერია

№ 62
სამშაბათი, 1 აპრილი 1897 წ.

რედაქცია:
პოლიციის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაგარეგლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელის გენერალ-ადიუტანტის თავ. გ. ს. გოლიცინის განკარგულებით, წმ. ნინოს სახელობაზედ დაარსებულ საზოგადოების საბჭოს საქმეთა მართვა და აგრედვე წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის სკოლის ანგარიშის წარმოება ჩაჰბარდა მთავარ-მართებელის ადიუტანტს გრაფს ესენ-სტენბოკ-ფერმორს.

⁂ წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარემ, ქვრივმა ევდოკია ბორისის ასულმა შერემეტევისამ თხოვნა შეიტანა და ითხოვა ამ თანამდებობიდგან განმათავისუფლეთო.

⁂ ამიერ-კავკასიისს რკინის გზის სახელოსნოები 1898 წლიდგან ელექტრონით იქმნება განათებული.

⁂ 14 აპრილიდგან ტფილისის სახელმწიფო თეატრში დაიწყებს წარმოდგენების გამართვას რუსული დრამატიული დასი, რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებენ ლიუდვიგოვი, მარტინოვისა და კომიკი პეტროვსკი.

⁂ გუბერნატორმა დაამტკიცა ტფილისის პირველ წყალის ნაწილის მოხელეებად არჩეულნი: მირაბად—ა. ა. შტელე და კანდიდატად—ხ. ი. ვაიკი; რჩევის წევრებად: მიხეილის ქუჩის ახლო-მახლო ბაღების მეპატრონეებისაგან—გ. ა. სტეფანოვი, კანდიდატად—ე. მ. დანილოვი; მუშტაიდისა და საბაღოსნო სასწავლებლისაგან ნ. ნ. შავროვი; დიდუბის ბაღების მეპატრონეებისაგან—ა. ა. გინცენბერგი, კანდიდატად—კ. ა. წატუროვი და ალექსანდერსდორფის ახალშენისაგან—გ. უ. შმიდტი, კანდიდატად ა. ა. კლეტი.

⁂ ბორჩალოს მაზრის მომრიგებელ შუამავლად, როგორც „ახ. მიმოხ.» შეუტყვია, განსვენებულ ია. ს. პავლიაშვილის მაგივრად ინიშნება ბ-ნი სოლოღაშვილი.

⁂ „კვალი“ სწერს, რომ საქართველოს ძველის ნაშთების და ისტორიის შესასწავლად ტფილისში არსდება საზოგადოება, რომლის წესდება ამ დღეებში გაიგზავნება დასამტკიცებლადაო.

⁂ ექიმი გ. ბადრიძე, ამ მოკლე ხანში წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგის პროგრამით: 1) რაში მდგომარეობს გადამდების სენის მომწამვლავი ძალა, 2) შავი ჭირი, როგორც გადამდები სენი და მისი ისტორია. 3) შავის ჭირით ავადმყოფის კლინიკური სურათი. 4) როგორ უნდა ავიცილოთ თავიდგან ეს სენი. 5) შავის ჭირის წამლობა და აცრა.

⁂ გაზეთის „ლუჩის“ სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ზოგიერთ მდიდარ კაცთა შუამდგომლობას განიხილავს, რომელთაც ყირიმსა და კავკასიაში საავარაკო ადგილების გამართვისათვის სააქციონერო საზოგადოების შედგენა განუზრახავთ.

⁂ ამ დღეებში ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკმა ერთი მამული გაჰყიდა, რომლის პატრონმა ეს შემდეგ გაიგო და რომელმაც ამის გამო თავის მოკვლა განიზრახაო. როგორც „ნოვ. ობოზრ.“-ეს აცნობებენ, იმ მამულის მყიდველი მამულზედ ხელს იღებს და პატრონს უნდა დაუბრუნოსო.

⁂ მთელს ქართველობაში დღეს მეტად დიდს საჭიროებას შეადგენს რუსულ-ქართული ლექსიკონი. დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის შოვნა არსად არის. ფასს ერთი სამად აძლევენ და შოვნა-კი არსად არის, ქართველთ მოზარდ და განათლებულთ შორის ისე არც ერთის სახელმძღვანელო წიგნის საჭიროება არ ისმის, როგორც ამ დიდად საჭირო რუსულ-ქართულის ლექსიკონისა. კარგი იქნება, რომ ამ დიდს თხოვნას ჩვენმა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ყურადღება მიაქციოს და ახალად შედგენილის დაბეჭდვა თუ არ მოხერხდა, ისევ დ. ჩუბინაშვილის შედგენილი მაინც დაჰბეჭდოს.

⁂ კვირას, 30 მარტს, ტფილისის საბრანიაში კრება იყო ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა, რომელმაც განიხილა წარსულის 1896 წლის ანგარიში, ამ 1897 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და ორივე დაამტკიცა. საზოგადოების მოხელეთათვის, რომლებიც ამოურჩეველად ემსახურებიან, კრებამ გადასდო ჯილდოდ ერთი მესამედი იმათის წლიურის ჯამაგირისა. ოსმალეთიდგან გამოქცეულ სომეხთათვის გადაიდო 4,000 მანათი, რომლიდგან 1,000 მანათი უკვე გაგზავნილია. შემდეგ არჩევანები იყო. გამგეობის თავმჯდომარედ ისევ გ. გ. ადელხანოვი ამოირჩიეს ერთ-ხმად; დირექტორად, გარდაცვალებულ ბაბანოვის ნაცვლად ერთ-ხმადვე ამორჩეულ იქმნა ეხლანდელი ბუხგალტერი ამ ბანკისა ა. გ. სერგეევი, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად: ნ. ზ. ნაზაროვი, ა. ს. ტერ-მინასოვი და ვ. გ. კანდურალოვი.

⁂ დ. ჩოხატაური. 28 მარტს, აქაურ ვაჭრის გერასიმე მეგრელიშვილის შეგირდს, ცხრა წლის ბავშვს, სადღაც რევოლვერის გულა ეშოვნა და სინჯვა დაუწყო, ამ დროს გულა გავარდა და ბავშვს სამი თითი მოაწყვიტა.

⁂ ს. ქვემო-მაჩხაანი: აქ იყო ქვემო-ქიზიყის საბლაღოჩინოს მღვდელთა კრება, მოწვეული სიღნაღის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღ. იოსებ მირიანაშვილისაგან, რომელმაც ჯერ საგრძნობლად განმარტა ის, თუ როგორ ჰსაჭიროებს სწავლა-ცოდნას ბეჩავ უვიცი ხალხი, რაოდენის სარგებლობის მოტანა შეუძლიან სოფლის მღვდელს ხალხისათვის სიტყვით თუ საქმით, და ბოლოს სთხოვა, ყველა მღვდელმა დააარსოს თავისს სამწყსოში სამრევლო სკოლა; უმრავლესობამ თანხმობა გამოუცხადა მამა მირიანაშვილს, მხოლოდ სოფელი სკოლისათვის ოთახს არ მოგვცემსო, ამბობდნენ. მაგრამ თუ-კი მღვდელი გულ-მხურვალედ ეცდება, სოფელიც სამ-ოთხ თუმნიან ოთახის დაქირავების უარს არ იტყვის. ჰქონდათ აგრეთვე სჯაბაასი საკვირაო სკოლების დაარსებისა და გალობის სწავლა-გაუმჯობესების შესახებ. სამრევლო სკოლები ყრმათათვის და საკვირაო დიდრონებისათვის—ბრმა გონების თვალის ამხილებელი ღვთის-წყალობა იქმნება ხალხისათვის; მადლის დამბადებელი ღვთის წყალობავე იქმნება საკეთილო გრძნობა-სასოების ჩამნერგველ-გამღვიძებელ გალობის სწავლა-გაუმჯობესობაც, და აი ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხსენებულ

ფელეტონი

ნაწყვეტი

დახე, რა გვიყო, სიცოცხლევ,
მტრისა ბოროტმა ენამან:
ორნი, ერთ-სულად ქცეულნი,
გაგვყარა ჭორთა სმენამან.
ვერ გხედავ გამწყრალს გამწყრალი,
დამადნო ცრემლთა დენამან,
აწ უფრო ძლიერ მიყვარხარ,
შენმა გულისა ლხენამან!

დ. მაჩხანელი

„არ მომეკარო!“

(სურათი)

მზე მთებისკენ გადაიწურა და არემარეს ვარდისფრად შეღებილ ღრუბლებიდგან უკანასკნელად ეალერსება და ჰკოცნის თავისის სამოც-და-შვიდის სხივით. მთაწმიდიდგან სჩანს ხელის გულივით გადაშლილი თბილისი: ქუჩები, ბაღები სავსეა ხალხით; ეტლები დაუდგრომლად დარბიან აქეთ-იქით და აყენებენ მტვერს, რომელიც მიწურულ მზის სხივებით ოქროს ფრად შემკრთალი ტფილისის თავზედ გადაჭიმულს გვირგვინს ემსგავსება... ცას შევარდნილნი შენობანი, გუმბათნი, სამრეკლოები ანთებულან და ელვარებენ ცეცხლის მფრქვეველ მნათობისაგან! გრილი დასავლეთის ნიავი ათრთოლებს აქამდის შეგუბებულს ჰაერს და სადღაც შორიდგან მოაქროლებს მუსიკის ხმას, არეულს ამაოების ხმაურობასთან!..

საამო საღამო მოსდევს მშვენიერს გაზაფხულის დღეს და გულს ავსებს რაღაცა გამოურკვეველ კმაყოფილებისა და ბედნიერების გრძნობით! მთაწმიდის სიმაღლიდგან გადმომდგარა ორი არსება და უსიტყვოდ დასჩერებია ტფილისს. ისინი უყურებენ ბაღებსა და ქუჩებში მღელვარე ხალხის ზღვას და თავიანს თავს უფრო ბედნიერადა ჰგრძნობენ, სანამ ყოველი ატომი ცალკე იმ ხალხის გრიგალისა!.. ამ ჟამად არ ეკუთვნიან ამაოდ მცოცავ ხალხის გუნდს! სდგანან მაღლა, წმიდა და ნაზს ჰაერში და იმათი ბედნიერებაც ხომ ამ ჰაერსავით ნაზია!

გული ანთებული აქვთ სიყვარულით, ერთმანეთს შეჰხარიან, ეტრფიან, ერთი სიტყვით, სცხოვრობენ სააქო სიტკბოების მორევში ჩაყურყუმელავებულნი!.. ბედნიერნი!..

ახალგაზდა ქალი, გადაფურჩქვნილი ჩვიდმეტ-თვრამეტის გაზაფხულით, უსაზღვროდ ბედნიერი სიყვარულით, უყურადღებოდ გაჰყურებს ჩამავალის მზის სურათს: მისი ფიქრები შორს, შორს არის მოღიმარ მნათობისაგან, რომელიც თანდათან უფრო ძირს ეშვება და ალის ფრად მოქცეულს ღრუბლებს ზედ აკრთება! იგი ხარბად ისუნთქავს წმინდა, მშვენივრად შეზავებულს ჰაერს და გულში, მთელს სხეულში ებნევა ნაზი და ტკბილი გრძნობა, შემდეგ კვლავ გულთან ეკრიფება, სიამოვნება სიამოვნებას, ტრფობა ტრფობას ეკეცება და განუსაზღვრელის სიყვარულის ძალა ნაზ ღიმილად ეფინება იმისს გაბადრულს სახეს... ყორნის ფრთასავით შავი, გიშერსავით მოელვარე და გაზაფხულის დილის ეთერსავით სუმბუქი და წმინდა თმა ჰაეროვან გვირგვინად დაჰქსოვია იმისს თავს და მხურვალე სატრფოსავით კულულებად ჩაჰკონებია მშვენიერს, სიყვარულის ვნებისაგან ცისკრის სხივებსავით მთრთოლვარე და ალვის ხესავით შეკვერცხილს საროს ტანსა... ზღვასავით ღრმა, მელნის ტბასავით შავი სიცოცხლით სავსე თვალები, შემოფარგლულნი გრძელის წამწამებით, ეშხს ეშხზედ აკეცავს. ლაწვნი დიადის გრძნობით ვარდის ფრად გაჰღადღადებია!..

მხოლოდ პატარა ხელების და ჯეირანსავით მოღერებულ ბროლის ყელის სინაზე და სისპეტაკე ჰმოწმობს მთელის სხეულის სინაზეს, ჰაეროვნებას! გარმონია და გრაცია ერთმანეთს ჩაჰკონებია!..

იგი გადაჰყურებია მოაჯირს...

მისი მეგობარი, რომელმაც სიყვარულის მხრით დამთვრალმა ეხლახან გულზედ მიიკრა თავისი სატრფო, სკამზედ ჩამოჯდა და თავის მეგობარ ქალსავით გაჰხედა ტფილისს... სახეზედ-კი ეტყობოდა, რომ დაჰვიწყებოდა ტფილისიც, მზის უკანასკნელი თამაშიც, წარსულიც, მომავალიც და მხოლოდ აწმყო წუთები ახარებდა და ჰქმნიდა ბედნიერად... იგი ჩასციებია ვნებით აღვსილი თვალებით თავის სატრფიალო საგანს, სტკბება მისის ტანის რხევით, ეშხით, ანგელოზებრივ ჰაეროვნებით... იგი თვალებით ეკონება, ჰგრძნობით ჰკოცნის და გულში ნადუღ ნეტარებას მთრთოლვარე „მიყვარხარ“-ით უზიარებს თავის სატრფოს!..

— მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩასჩურჩულებენ ნაზად ერმანეთს!

— რა ბედნიერნი ვართ! აწერია იმათ ვნებით მიბნედილ თვალებს.

გრილმა, უმანკო ნიავმა გაჰკოცნა ქალის მშვენიერს სახეს, გრაციით სავსე ტანს და ის სიყვარულის ალი, რომელიც ქალს ვერხვის ფოთოლსავით ათრთოლებდა, მის მეგობრის გახურებულს შუბლს შესტკიცა!..

— მიყვარხარ, მიყარხარ!.. წაიჩურჩულეს კიდევ ნაზად, ჩუმად, თითქო ეშინიანთ, არავინ გაიგოს ჩვენი ბედნიერებაო, მაგრამ ნიავმა მოჰკრა თავისი მახვილი ყური, გაიტაცა, გაჰქროლა მხიარულად, გაჰკოცნა ყვავილ-ბალახები და თან ცელქად ჩაიჩურჩულა „მიყვარხარ, მიყვარხარ“!..

ჰაერში გაისმა ჩუმი, მორცხვი, მაგრამ ვნებით სავსე კოცნა შეყვარებულთა... მაგრამ...

უცბად მოჰშორდნენ ერთმანეთს და გაკვირვებით მიაჩერდნენ კიბის მაღლა საფეხურზედ მდგომარე ქალს..

ყმაწვილი კაცი შეკრთა და აქამდის ღელვა-ვნებისაგან აწითლებული სახე ნაცრის ფრად ექცალა...

— უკაცრაოდ, ნაზად, მწუხარებით წაიჩურჩულა უცნობმა და ყვედრებით შეაჩერდა ყმაწვილს კაცს... გმადლობთ, გმადლობთ ერთგულებისათვის, წარმოსთქვა ჩათხრობილი ხმით ისევ უცნობმა, გულზედ ხელი იტაცა და ტორტმანით დაეშვა კიბეზედ...

ყმაწვილმა კაცმა თავი ჩაჰკიდა...

მისი სატრფო, აქამდის გაკვირვებული მოწმე ამ ამბავისა, წამოდგა, ზიზღით შეჰხედა ორის წუთით წინად თავის მეგობარს და გაემართა იმავე კიბისკენ...

— ელო!.. გიჟსავით წამოიყვირა ჭაბუკმა და ხელებ გაწვდილი გაექანა ელოსკენ...

— შორს! არ მომეკარო!.. შეაყენა ხელით ქალმა და პატარა, კოხტა ფეხი გაჯავრებით დაჰკრა მიწას...

ყმაწვილი კაცი ერთს ადგილას გაქვავდა...

მისი სატრფო, იმის ბედნიერება-კი ნელ-ნელა ჩადიოდა ქვევით და თვალთაგან ეფარებოდა...

ვლ. მცხეთელი.

საქმეთა განხორციელებისათვის დაუღალავის მხნეობით აღსავსე გულმხურვალებით ეცდება ქიზიყის სამღვდელოება და ყველა მათგანი თავისისავე საკეთილო საქმით იტყვის თამამად: „როგორიც მღვდელიო, ისეთი ერიო“.

⁂ სოფ. ქვემოხიქოზი (გორის მაზრა). 27 მარტს აქ ღამე დაეცნენ ყაჩაღები ზაქარია ბესარიონის ძეს ფავლენიშვილს, წაიღეს ორი ოქროს საათი, ოთხი თუმანი ფული და სხვა-და-სხვა ნივთები. ზარალი 300 მანეთს აღემატება. თვით ზაქარია ფავლენიშვილი და იმის მეუღლე ხანჯლით რამდენსამე ალაგას არიან დაჭრილი. დაჩეხილნი არიან აგრედვე მოსამსახურე ბიჭი და დედა-კაციც. 28 მარტს დილით ცხინვალიდგან გაემგზავრენ გამომძიებელი, ადგილობრივი მკურნალი ცისკარაშვილი და ბოქაული საქმის გამოსაძიებლად. არც ერთი მათგანი სასიკვდილოდ არ არის დაჭრილი. ყაჩაღების კვალი ჯერ ვერ უპოვიათ. ადგილობრივი ბოქაული ყოველ გვარ ღონისძიებას ჰღონობს იმათ აღმოსაჩენად. ამ ჟამად ცხინვალის ახლომახლო შიშის ზარი ტრიალებს ყაჩაღებისა გამო.

⁂ ქ. ახალციხე: 29 მარტს, ბებია ქალი აჯი-მადინა, 80 წლისა, თავისს სახლში იპოვეს ავაზაკების მიერ დამრჩვალი და აღმოჩნდა, რომ დამრჩველს წაუღია სომხური შუბლის მოსართავი ოქროსი, 600 მან. ღირებული. დამნაშავეს დაეძებენ.

— წარსულს ორშაბათს სოფელ სუფლისში თავისს სახლში ბოროტ-მომქმედებმა ცულით მოჰკლეს ივანე მეფისაშვილი და წაიღეს ორასი მანეთი.

— პარასკევს, 28 მარტს, ოლქის გამომძიებელმა დანილოვმა ქ. ახალციხეში შეიპყრო და ტფილისში ჩამოიყვანა ავაზაკი კოსიანცი, რომელმაც შარშან ახალციხეშივე გაჰქურდა ვაჭარი მარქაროვი და წაიღო 4000 მანეთის სხვა-და-სხვა ბანკის ფასიანი ბილეთები და თამასუქები. გამომძიებელმა დააპატიმრა ამხანაგი კოსიანცისა ანისოლოვი, რომელსაც ზემოხსენებული ბილეთები უპოვნეს ქ. ბათუმში.

⁂ სოფ. მაჩოტაო (სენაკის მაზრა): 20 მარტამდე შერეკილი ამინდები იდგა, ხოლო მას აქედ-კი მაისისებური სითბოები დაიჭირა, რის გამოც ზამთრის დაზრულმა ბუნებამ გამოიღვიძა და მთა-ველი აყვავებას შეუდგა. მუშა-კაცმა გამოიღვიძა და გამოვიდა მინდვრად სამუშაოდ. მაგრამ მხვნელ-მთესველი ყოყმანშია, ვაი თუ წელსაც სიმინდის ფასმა ვერ აიწიოსო. სხვა ფრივ ჩვენსკენ მშვიდობაა.

გუშინ, დილის 11 საათზედ, გენერალ-მაიორის ქვრივის ე. საგინაშვილის სახლის (ნიკოლოოზის ქუჩა, № 21) შვეიცარს ანდრია კარალკოვს „სერთუკი“ მოჰპარეს ოთახიდგან, რომელიც დაკეტილი გაუშვა და თითონ-კი სხვაგან ყოფილიყო. კარის კლიტე გაუტეხია ქურდს.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ს. სანახშირე, (შორაპნის მაზრა). ს. სანახშირე განთქმული იყო აქამდის ღვინის მოსავლით; აქაურები თითქმის ამის მეტს არაფერს არ მისდევდნენ. ამ სოფლის არე-მარე სულ გაშენებულია დაბლარითა და მაღლარით და ერთი ნაჭერიც არ არის გამცდარი სამინდვრისათვის, თითოეული გლეხი ამ სოფლისა, სულ უკანასკნელი, ხუთს საპალნე ღვინოს მაინც გაჰყიდდა, რომლის ფასით აკმაყოფილებდა თავისის ოჯახის ყოველ მოთხოვნილებას. ამასთანავე ამშვენებდა ამ სოფელს აქაურ საბალახოს და ტყის სიუხვე, რომლიდგანაც დიდი სარგებლობა ჰქონდათ მცხოვრებთ. აქაურთა სიკეთეს ხელს უწყობდა მდ. ყვირილის სიახლოვე, რომლიდგანაც დიდი სარგებლობა აქვთ თუ თევზით და თუ წისქვილით. სანახშირელებს ჰქონდათ მდ. ყვირილაზედ ორი წისქვილი.

მაგრამ ვერც სანახშირე ასცდა იმ განსაცდელს, რომელმაც ატირა და გააწიოკა ბევრი სხვა ამისთანა მამულით განთქმული სოფლები. ეს სამი წელიწადია, რაც ამ სოფელში თავი იჩინა ვაზის სასტიკად გამომსალმებელმა სენმა ფილოქსერამ, რომელმაც ლამის სულ გაანადგურა აქაური წალკოტის მსგავსი მამულები; ამას დაერთო ობი, ჭრაქი და ნაცარიც. თითქმის ორი მესამედი მამულებისა იმსხვერპლა ამ სხვა-და-სხვა სენმა და არც დანარჩენ მამულის სიკეთის იმედი გვაქვს.

მამულებისაგან დაობლებულს მცხოვრებს იმედად დარჩათ წისქვილები, რომლებსაც განუწყვეტლივ აწყობდნენ და უვლიდნენ ერთგულად. მაგრამ ამასაც არ ასცდა უბედურება. შარშანწინდელმა ნიაღვარმა იმსხვერპლა ორივე წისქვილი; ერთი მათგანი წაიღო მდ. ყვირილამ მაისში და მეორე ღვინობისთვეში. ხალხის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა ამ დიდის უბედურების გამო. ეხლა ჩვენს დაცულს მუხნარსაც უნდა გამოვეთხოვოთო, იძახოდნენ ამ უბედურების მომსწრე წისქვილის პატრონები. ამ წისქვილის დოლებს, რომელიც გაკეთებულია მდინარის ერთი ნაპირიდგან მეორემდის, დიდი და აუარებელი ხე-ტყე უნდება. ასე რომ ამ წისქვილების დოლებმა, რომლებიც უწინ ორჯელ-სამჯერ ყოფილა წალეკებული, ძალიან შეამცირა ამ სოფლის ტყე და ახლა თუ კიდევ გააკეთეს წისქვილის დოლები (რაფი), სამუდამოდ ბოლოს მოუღებენ ამ სოფლის ტყეს.

აქამდის ამ სოფლის მკვიდრთა ცხოვრებას, სახელმწიფო გადასახადს და ოჯახის ყოველნაირ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა ღვინის მოსავალი, წისქვილების შემოსავალი, ტყისა და საბალახოს სიუხვე, მაგრამ ამ ბოლოს დროს ყველა ეს გამოეცალა ხალხს ხელიდგან, და ამის გამო დიდად არის შევიწროებული: სახელმწიფო გადასახადის სახსარიც-კი არა აქვთ.

ვ. მაჭარაშვილი

საოსტატო სემინარიის მოსწავლენი წინამძღვრიანთ-კარის სასწავლებელში.

კავკასიის ოლქის მზრუნველის ნება-დართვით, გორის საოსტატო სემინარიის დირექტორმა ა. ი. სლოვინსკიმ 14 თიბათვეს 1896 წ. გაჰგზავნა თურმე 12 მოსწავლე წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში სასოფლო სამეურნეო საგნების პრაქტიკულად და თეორიულად შესასწავლად. თან გაჰყვათ მასწავლებელი ვ. პოლევსკი, რომელმაც დაწვრილებით აღწერა შეგირდების მოგზაურობა. ეს მოგზაურობა დაბეჭდილია ამ წლის ოლქის მზრუნველის ცირკულიარში. ჩვენ, საჭიროდ ვსთვლით მოკლეთ გავაცნოთ მკითხველებს ეს მოგზაურობა.

14 თიბათვეს, საღამოს 5 საათზედ მივედით წინამძღვრიანთ-კარის სკოლაში, ამბობს საოსტატო სემინარიის მასწავლებელი ვ. პოლევსკი, მასწავლებელ ს. თ. ხუნდაძის წინამძღოლობით, რომელიც გამოეგზავნა ჩვენს დასახვედრად მზრუნველს ბ-ნ ილია წინამძღვრიშვილს რკინის გზის სადგურს ავჭალაში. ყველანი მხიარულად მოგვეგებნენ სკოლაში და სიამოვნებით მიგვიღეს როგორც მასწავლებლებმა, აგრეთვე შეგირდებმა. პატარა რომ შევისვენეთ, დაგვატარეს სკოლაში და გვაჩვენეს სამეცადინეო, სამუშაო და სახატავი ოთახები, შეგვიყვანეს მუზეუმში და გაგვასეირნეს ბაღში, ერთის სიტყვით, კუნჭული არ დაგვრჩა გაუშინჯავ-დაუთვალიერებელი.

მეორე დღეს ტფილისიდგან ამობრძანდა სკოლის დამფუძნებელი და გამგე ილია წინამძღვრიშვილი, ტკბილი სალამი მოგვცა და ბევრი მშვენიერი და შესანიშნავი აზრი წარმოსთქვა, როდესაც დაელაპარაკა სემინარიის მოსწავლეებს სამეურნეო საგნების ისტორიულ მნიშვნელობის შესახებ საზოგადოდ ცხოვრებაში და კერძოდ იმათთვის, როგორც მომავალ სოფლის მასწავლებელთათვის.

16 თიბათვეს შეუდგნენ მოსწავლეები მუშაობას. სამუშაო დღე ამ ნაირად იყო განაწილებული: მოსწავლეები სდგებოდნენ დილის ხუთს საათზედ და ნახევარ საათს პირის დაბანას და ლოცვას ანდომებდნენ. შემდეგ გამოდიოდნენ ბაღში სამუშაოდ 8 საათამდის. 8 საათზედ საუზმობდნენ, ჩაის სვამდნენ და 9 საათიდგან 12 საათამდისინ ისმენდნენ თეორიას ბაღოსნობისა, ბოსტნეულობისა, აბრეშუმეულობისა და ბოტანიკისას. სადილს სჭამდნენ და ისვენებდნენ 3 საათამდის. 3 საათიდგან 7 საათამდე კიდევ მუშაობდნენ ხოლმე ბაღში.

ლოცვაზედ, ჩაის სმისა და სადილის ჭამის დროს მოსწავლეებთან განუშორებლად იმყოფებოდა სასწავლებლის მორიგე მასწავლებელი.

მუშაობას თვალ-ყურს ადევნებდნენ მასწავლებლები ს. თ. ხუნდაძე და თ. ე. მეგრელიშვილი; თეორიულად ასწავლიდნენ ბაღოსნობას ხუნდაძე, ბოსტნეულობას, აბრეშუმეულობას და ბოტანიკას—მეგრელიშვილი.

დირექტორმა სემინარიისამ დამავალა დათვალიერება ჩვენის მოსწავლეებისა და მართლაც, ერთხელ ჩავედი იმათთან და ყველანი ყოჩაღად, ჯან-მრთელად და მხიარულად დამიხვდნენ. არავინ დაჰკლებია დანიშნულ ვადამდის (1 აგვისტომდის), იმათ გარდა, რომლებიც გამოფენაზედ წავიდნენ რუსეთში. მასწავლებლებმა ყველაფერი მიამბეს, რასაც-კი შეგირდები აკეთებდნენ, მაგალითად:

ა) ბაღოსნობიდგან: სხლავდნენ ხეებს, ჰკვეცავდნენ ტოტებსა და ალამაზებდნენ ვაშლისა და მსხლის ხეებს, ვარდებს წააკვეცეს თურმე თავები და ისეთ ნაირად, რომ ხელმეორედ აყვავებულიყვნენ და სხვა...

ბ) ბოსტნეულობიდგან: ჰბარავდნენ მიწას და ამტვრევდნენ გოროხებს, რწყავდნენ, აბუჩბუჩებდნენ მიწას და აკეთებდნენ კვლებს სხვა-და-სხვა თესლეულობის დასათესად და სხვა...

გ) მევენახეობიდგან: ახვევდნენ ვაზებს, აცლიდნენ მავნებელ ფოთლებს, ამზადებდნენ სითხეს მილდიუთი ავადმყოფ ვაზებისთვის და სხვა...

დ) ხანდახან მუშაობდნენ ხოლმე მოსწავლეები ფუტკრების სკებთან და აბრეშუმის ჭიასთან.

მუშაობის დროს მასწავლებლები შესაფერ დარიგებას აძლევდნენ შეგირდებს და სწავლის დროს ხომ თეორიულად აუხსნეს ყველაფერი, რაც-კი საჭიროა ბაღოსნობისა, ბოსტნეულობისა და აბრეშუმეულობისათვის. აგრეთვე ურჩევდნენ ამა თუ საგნის შესასწავლად საჭირო წიგნებს.

სკოლაში პრაქტიკულად და თეორიულად მუშაობის შესწავლის გარდა მოსწავლეებმა მასწავლებლების ხელმძღვანელობით დაათვალიერეს იქვე ახლო მყოფი ი. ჭავჭავაძის მამულები და მარტყოფის მონასტერი. ამ მოგზაურობის საგნად იყო ცხადად ჩვენება და დამტკიცება კლასში ახსნილ-გაგონილისა. მოსწავლეებს აცნობებდნენ ნიადაგს, მცენარეებს და საჭირო და სასარგებლო ხეებს მახლობელს ჭალა-ტყეებში.

მოსწავლეები დღიურებში სწერდნენ ნახულს, გაგონილსა და შეთვისებულს მოკლედ, რომ ადვილად და ვრცლად დაეწერად სტატიები სხვა-და-სხვა სამეურნეო საგნების შესახებ, როგორც დაავალა სემინარიის მთავრობამ. ამ წლის დამლევს შეუდგნენ მოსწავლეები თავის მოვალეობის აღსრულებას.

წარმოადგინეს კიდეც თავისი წერილები, რომლებშიაც შეეხებიან სასოფლო მეურნეობის 17 დარგს. ეს წერილები გასინჯულ იქმნა სემინარიის მასწავლებლებისა და თვით დირექტორისაგან.

როგორც ვუწყით, დირექტორმა დიდი მადლობა გარდაუხადა კიდეც ბ-ნ ი. ი. წინამძღვრიშვილს.

სოფლის ინტელიგენციისა და მამასახლისების საყურადღებოდ.

ერთის თვის წინად გაზეთებმა გვაცნობეს, რომ ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა უკვე გაუგზავნა მაზრის უფროსებს ის ახალი კანონმდებლობა, რომლის ძალით ეკრძალებათ სოფლის ვაჭრებს, „გილდ-პატენტების“ აღება, თუ სოფლისაგან კანონიერი ნება-რთვა არ ექმნებათო. ამ სასიქადულო კანონს დღევანდლამდე მხოლოდ მიკიტნები ექვემდებარებოდნენ და ათასგვარ საქონლის ვაჭარ-გამსყიდველები-კი თავისის ნებით ჰმართავდნენ დუქან-ბაზრებს, საქართველოს რომელ კუთხის სოფელ-შიაც-კი მოისურვებდნენ „საფუცქნელად“ იმ ბეჩავ ტეტიებისა, რომლებზედაც არა-იშვიათად ამბობენ თვით ვაჭრებივე: ქართველს რომ ჭკვა ჰქონოდა, ვაჭარი მშიერი მოკვდებოდაო, და არცა სტყუიან ღვთის წინაშე, რადგანაც ხშირად ქართველები მართლაც-და იქამომდე ბრმა-ყრუ-მუნჯნი ვართ, რომ ზედ-გამოჭრილად უთქვამთ ჩვენზედვე ჩვენს გულთმისან წინაპრებსაც: ქართველს ფეხები რომ ოქროსი ჰქონდეს, თავი მაფრახისა ექნებაო, ქართველს თავში უბრაგუნებდნენ—და გაცებო, კ ბრაგა ბრუგის ხმა საიდამ მოისმისო (კითხულობდა ისე, ვისაც თავში სცემდნენ). დიაღ, აი სადამდის ბრმა-ყრუ-მუნჯნი ვართ!..

ჩვენი, ქართველების, ასეთი ბრმა-ყრუ-მუნჯობა კარგად შეუგნია მთავრობას და დღეს მთელი საქართველო დიდი მადლობელი უნდა იყოს მისი, რადგანაც საქართველოს სოფლებს—და მაშასადამე ერის უმრავლესობას—ისეთი დიდად საყურადღებო თვით-ნებამყოფლობის უფლება მიენიჭა, რომ 1898 წლის დამდეგს პირველ დღიდგანვე მთელ საქართველოს სოფლებს შეუძლიანთ თავიანთ მღუპავ ჩარჩ-ვაჭარ-მოვახშეებს ცოცხის ჯოხი მოუსვან და გაამეონ სოფლებიდგან ბეჩავის ხალხის ჭამია ორფეხა მგლები ისე, როგორც იესო ქრისტემ განდევნა იგინი იერუსალიმის წმიდა ტაძრიდგან.

ერთი დრო არავის შეჰჩნევია და მალე დადგება ის დროც (შავის-ჭირის მაგვარი) ბეჩავ ხალხისმანადგურებელ ჩარჩ-მოვახშეებისათვისაც, რომელთაც ძალუნებურად უნდა დაჰყარონ უსულღმერთო ფარ-ხმალი ძარცვა-გლეჯისა და დაადგნენ „გზასა მართლისასა“, რათა იმათაც იწვნიონ და იგემონ სისხლის ოფლის მღვრელ გლეხ-კაცის ჭაპანწყვეტა და მარტოოდენ „ცეცხლის დუქნის“ ჭამისათვის არსებობა ამ ცოდვილ, უწყალო და ულმობელს ქვეყანაზედ. დიაღ, დროა ცხვარსა და მგელს შორისაც აღსრულდეს ნაბრძანები მაცხოვრისა: „წინანანი უკან, უკანანი წინო“, და ახლა ცხვარივით ხალხის ჭამიებმა გამოსცადონ საბრალო ხალხის ჯოჯოხეთის ცხოვრება, რომ დორ-მუცელა ვაჭრებს ყაბლუ-ფლავის ნაცვლად ქერის პური არჩიონ და „რათ გამაჩინე დედაო“-ს წილად ახლა ტეტიები მღეროდნენ: „ლოთებო, ნეტავი ჩვენაო“ და სხვანი.

მაგრამ რომ მდაბიო ხალხმა თავისი ახალი საბედნიერო კანონ-მდებლობა განახორციელოს თავის საკეთილდღეოდ, რომ „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა“ არ გამოვიდეს, რომ თავისი მჭამელი ვაჭარ-ჩარჩებ-მოვახშენი მოიშორვინოს წურბელებივით, რომ ხალხის წვითა და ძვლით ნაშრომ-ნაღვაწი ლუკმა ხალხისავე რიგიან მოძმე-ვაჭართა და სახალხო-საზოგადო დაწესებულებათა ჯამებში გარდებოდეს ხალხისავე წარმატებისათვის და არა ზღვათოდენ უმადურ მეიხნაზე ყარაბაღლების უძირო ჯიბე-მუცელში, დიდად საჭიროა ამისათვის სოფლის ინტელიგენციამ და მამასახლისებმა მრავალი-რამ საკეთილო სიტყვა და აზრი ჩააგონონ დაბეჯითებით მდაბიო ხალხს, თორემ გამოცდილება ყოველ-დღე გვიჩვენებს: უვიცი ხალხი ცხვრის ფარასა ჰგავს, და ცხვრის ფარაში იმ ჯადოსნური მანქანით, რომელიც ჯოჯოხეთსაც-კი ანათებს, სამიოდე ავპირ-მგელა ცხვარს რომ „ბეე“ დაამახსნინონ, მთელი ფარა იგრიალებს და ერთხმად ხანს მისცემს გუგუნით: „ბეეეე“!.. და მაშინ კანონთა კანონიც-კი ხიდ-ქვეშ მოექცევა და მგლები გულ-არხეინად ზედ გაივლიან, ე. ი. საკმრისის სოფლის ზოგიერთი მოქრთამე მოხელე და მისი ხიზილა დამქაშები შეისყიდონ, და მერე ადამიანთა ჭამია მგლებ-ვაჭრებიც-კი სოფელში დუქნის გამართვის ნება-რთვას მიიღებენ, როცა უნდათ.

აი ამისათვის დიდის გულ-მოდგინებით უნდა ეცადნენ როგორც სოფლის ინტელიგენცია, ისეც ხალხისათვის გულ-შემატკივარი მამასახლისები, რომ საკეთილდღეო უფლების მიმნიჭებელმა ახალმა კანონმა, უნაყოფოდ ჩავლის ნაცვლად, დიდი, საყოველთაო ნაყოფი წარმატებისა გამოიღოს საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა სოფლებში თავ-შეუდგებელ ხალხის გაღარიბებულ ქონება-ყონების გასამდიდრებლად; და თუ ამის შესახებ სოფლის ინტელიგენცია და მამასახლისები არ ეცდებიან თავ-გამოდებით, მაშინ არავითარი სიკეთე-სარგებლობის მოტანა არ შეეძლება იმ ახალ კანონს ისე, როგორც არარომელი სიკეთე-მადლის მოტანა არ შეეძლებოდა ჩვენთვის ქრისტეს მაცხოვრისანი სწავლა-მოძღვრება რომ ენა უხლებელ წიგნად დებულიყო ბაკეტილში და ღვთისნიერ მოძღვარ-მოციქულებს საქვეყნოდ არ ექადაგნათ მისი მაღალ-ღვთაებრივი სწავლა-ცოდნა და მათგან მომდინარე სიბრძნე, კეთილი, მადლი და ცხონება.

ზღვა კოვზით დაილევა და წვეთით ზღვა შესდგებაო. კოვზით ჭლევენ ჩვენის ბეჩავის ხალხის ქონება-მონაგარსაც უთვალავი, წიკომავო მენევსე-მელახოსტაკე ჩარჩ-ბაცაცებიც-კი და ის გუშინდელი უგროშ-უფულო „ზემურაზებიც“ ხვალ-ზეგ ყოვლად-შემძლე როდშილდები ჰხდებიან. დიახ, სხვები იძენენ ჩვენს ნივთიერს ძალს, რომელიც სალა-კლდიან აღმართსაც-კი ჰხნავს, ბრძანებელი ბატონ-პატრონები ჰხდებიან სხვის მიწა-წყალში, ცარიელ-ტარიელნი და შიმშილით ღინც-გადაგდებული ტეტია-კი ფეხეი ვერხვივითა დგა სიღატაკისგან ტყაპუჭ-შემოწეწილი და გაკვირვებით გაიძახის: ბიჭოს, გაგონილა! აჭტარხნელი თათარი გოჭის თავს მეცილებოდაო, და იმას კი როდილა ჰფიქრობს რომ: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენის თავითაო.

წაიკითხეთ მდგომარე წლის „Новое Время“-ს № 7529, რომელშიაც ორი დიდად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ როგორ გვბატონობენ, გვპატრონობენ და გვჭამნიან ყველგან და ყველაში ჩვენი ხიზანი ვაჭრები, და, უეჭველია, მისი წაკითხვის ბოლოს შემდეგს წარმოიტყვით გულ-მოსული: ყოველივე ახია ჩვენზედ და ცოტაც არის, რადგანაც ყველანი იქამომდე ბრმა-ყრუ-მუნჯი ვართ, ჭალის მგელმაც რომ შეგვჭამოს თავამდის, იმასაც აინუში არ ჩავიგდებთ და არ ვეტყვით: ბატონო მგელო, გთხოვთ შენი სულის გულისათვის ეს თავი მაინც მაჩუქო და ამასაც ნუ შეჭამო.

დიახ, ყოველივე მარცხი უფრო ჩვენი საარაკო დაუდევრობით მოგვდის საზოგადოდ ყველა ქართველებს და განსაკუთრებით სოფლის უპატრონო—უშემწეო მდაბიო ხალხს, და აი ამისათვის, ვიმეორებ, დიდი მადლობის ღირსია მთავრობა იმ საქციელ-კანონმდებლობის მინიჭებისათვის, რომლის ძალით ყველა სოფლის საზოგადოებას შეუძლიან არ შეუშვას სოფელში არც ერთი ორ-ფეხა მგელი, თუ-კი, როგორც ვთქვი, სოფლის ინტელიგენცია და მამასახლისები კეთილს ჩააგონებენ დაბეჯითებით უვიც-ბეჩავს ხალხს და ხალხის გამყიდველ შემგულიანებელ მოქრთამე ნობილებს მაგარს ალაგას ამოსდებენ ნიჩურში.

რა და რა საშუალება-ღონისძიებანი უფრო უკეთესია ხსენებული ახალ-კანონ-მდებლობის ყველა სოფელში განხორციელებისათვის ხალხის საკეთილდღეოთ და მისი ალებ-მიცემობის ყოველ მხრივ გასაუმჯობესებლად—ყოველ ამის შესახებ შემდეგში მოგახსენებთ შეძლებისდაგვარად ჩემს აზრს აწვრილებით.

დ. მაჩხანელი

◆ ◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჩვენ ამას წინად მოყვანილი გვქონდა წერილი „გულ-ახდილის მკვიდრისა“ ქალაქის უძრავ მამულების მეტად მცირე ფასად დაფასების შესახებ, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ დამფასებლები მიდგომით იქცევიან და სომხების მამულებს უფრო ნაკლებად აფასებენო. ნათქვამი გვქონდა იქვე ისიც, რომ გაზ. „Нов. Обоз.“-ემ ძალიან იწყინა ესა, სიცრუე უნდოდა და სთქვა, რომ ყველა მამული ქალაქისა, მისის პატრონის სარწმუნოების განურჩევლად, მცირე ფასად არის დაფასებულიო. ჩვენ მაშინვე ვსთქვით, დავუცადოთ, ვნახოთ პასუხად რას იტყვის „გულ-ახდილი მკვიდრი ქალაქისაო“, თუმცა ესეც იწყინა „Нов. Обоз.“-მ. დიდხანს არ მოგვიანდა“ ცდა. აი, რასა სწერს იგივე „გულ-ახდილი მკვიდრი“ გაზ. „Кавказъ“-ის წარსულ კვირის ნომერში: რაკი „Нов. Обоз.“-ს არა სჯერა, რომ მამულები არა-სომეხთა უფრო მეტ ფასად არის დაფასებული, ვიდრე სომეხთა, აი ამისი რამდენიმე მაგალითიო:

1) თავ. თუმანოვების სახლი ბარიათინსკის ქუჩაზედ, დაფასებულია 38,360 მან., სახლი ბ-ნ გვათუასი, მამა-დავითის ქუჩაზედ,—31,800 მან. განსხვავება სულ 6,560 მან. ორივე მცირე ფასად არის დაფასებული, მაგრამ შედარებით-კი ბ-ნ გვათუას სახლი უფრო მეტად არის დაფასებული, ვიდრე თ. თუმანოვებისა. საყურადღებოა ვიცოდეთ, ბ-ნმა გვათუამ რომ ბ-ნთ თუმანოვებს სთხოვოს, გავცვალოთ მამულებიო და განსხვავებას 6,560 მან. ერთი ორად მოგცემთო, გაუცვლიდნენ?

2) უშველებელი სახლი ზერიევისა, მიხეილის ქუჩაზედ, დაფასებულია 34,550 მან., ხოლო სახლი კოკტუნენკოსი იმავე ქუჩაზედ—25,597 მან., განსხვავება სულ 9,000 მან. მაშინ, როდესაც ზერიევის სახლი ერთიორად მეტს შემოსავალს იძლევა და კოკტუნენკოს სახლზედ დიდია.

3) სახლი თუზმაშოვისა, ფრეილინის ქუჩაზედ, დაფასებულია 9,900 მან., ზარნოვის სახლი-კი, ჯვარის-გეცთა შესახვევში,—8,400 მან.; განსხვავება სულ 1,500 მან. შეადგენს, პირველ სახლს შემოსავალი-კი, სულ ცოტა, 2,400 მან. აქვს, მეორეს—1,200 მან.

4) ავჭალის ქუჩაზედ, რკინის გზის ლიანდაგს იქეთ, ორი სახლია—ერთი ეკუთვნის დოდაშვილს, მეორე—ალელოვს. პირველს შემოაქვს წლიწადში 900 მან., მეორეს—1,200 მან. დასაფასებელს ხარჯს დოდაშვილს ართმევენ 67 მან. 88 კაპ., ალელოვს—56 მან. 25 კაპ.

5) ყაზარმასთან შე-647 №-რით ორი სახლია: ა—ნი ფრიდონოვისა, რომელსაც 2,000 მან. შემოსავალი მოაქვს, და ბ. ჯამასპიშვილისა, რომელსაც 700 მან. შემოსავალი შემოაქვს. პირველი სახლი მეორეზედ ერთი სამად დიდია. ჯამასპიშვილი დასაფასებელს გარდასახადს იხდის 46 მან. 13 კაპ., ხოლო ფრიდონოვი სულ 102 მან.

6) თამამშოვის ქარვასლას წლიწადში 75,000 მან. შემოსავალი აქვს, ხოლო თავად-აზნაურობის ქარვასლას—62—65 ათასი მან., ხოლო ქალაქის დამფასებელთაგან-კი პირველი დაფასებულია 340000 მან., მეორე—453,040 მან. ამის განმარტება და საჭიროა.

გუშინდელს ნომერში „Нов. Обоз.“. კვლავ სცდილობს ჩააფუჩოს ეს მაგალითები. ექვსში მარტო პირველი მაგალითი აუღია საკამათოდ, დანარჩენთა შესახებ-კი არაფერს ამბობს. აი რასა სწერს ეს გაზეთი პირველის აქ მოყვანილ მაგალითის შესახებ:

ცეცხლისაგან საურთიერთო დამზღვეველს საზოგადოებაში თ. თუმანოვების სახლი დაფასებულია 40,000 მან., ხოლო გვათუას სახლი—35,000 მან. მაშასადამე, ამ ორის სახლის ფასში დიდი განსხვავება არა უნდა იყოს-რაო.

როგორ მოგწონთ ეს „მაშასადამე“? თითქოს ვინც რამდენად დააზღვევს სახლს, იგი იყოს მაჩვენებელი და უტყუარი აღმნიშვნელი სახლის ამა თუ იმ ფასისა. მაშ 3,000 მან. სახლის პატრონმა რომ თავისი მამული 1000 მან. დააზღვიოს, იმის სახლიც ასი თუმანი ეღირება და არა სამასი? აი, ასე სცდილობს ყოველთვის ბ-ნი თუმანიანცი ჭეშმარიტების გამორკვევას!...

◆ ◆

სასამართლოს მატიანე

—

29 მარტს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსიამ ახალციხეში გაარჩია საქმე აბასთუმნის პირველ გილდის ვაჭრისა აბრამ ბეჟანოვისა და ტიგრან მატანჯოვისა, რომელთაც ის ბრალი ედებოდათ, რომ შარშან სექტემბერში შეიტყუეს თავისის დუქნის ოთახში აბასთუმანის სამხედრო საავადმყოფს ფეთფებელი, გვარად პიჯაკი, რომლისაც ბეჟანოვს 140 მან. და მატანჯოვს 200 მანეთი ემართათ, და უთხრეს მიიღე შენი ფულიო. როდესაც პიჯაკს თამასუქები ამოუღია, ბეჟანოვს და მატანჯოვს ხელიდგან გამოუტაცნიათ, დაუხევიათ, მერე უკრავთ ხელი და გარეთ გამოუგდიათ, ფული-კი არ გადაუხდიათ. ეს დანაშაული სასამართლოში ნათლად დაამტკიცა ბარე 12 მოწმემ.

სასამართლომ ბეჟანოვსა და მატანჯოვს გადაუწყვიტა ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და პატიმართა როტაში გაგზავნა ერთის წლითა და ათის თვით. დამნაშავეთ ვექილი გრუზენბერგი იცავდა.

◆ ◆

რუსეთი

—

აპრილის შუა რიცხვებში ოდესაში მოელიან ბოლგარიის მთავარს ფერდინანდს, რომელსაც თან ეყოლებიან მინისტრ-პრეზიდენტი და სამხედრო მინისტრი.

— ემილ ზოლაც აპირებს პეტერბურგში მისვლას ამ გაზაფხულს, სადაც მას განზრახვა აქვს, ჯერ ერთი, სამი საჯარო ლექცია წაიკითხოს „ცხოვრების და ლიტერატურის ახალ მიმართულების შესახებ“ და, ამას გარდა, გაიცნოს აწინდელი განათლებულ რუსთა საზოგადოება.

— ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში ლაპარაკი ალუძრავთ იმის შესახებ, რომ საქალაქო კრედიტის ნორმალურს წესდებაში შეიტანონ მუხლი, რომლის ძალითაც ქალაქის ყველა საზოგადოებრივს ბანკს ვალად დაედება სათადარიგო თანხა ჰქონდეს. ამ სათადარიგო თანხის რაოდენობა ძირის თანხის ერთს მესამედზედ ნაკლები არ უნდა იყოს, როგორც ეს დადგენილია საკომერციო ბანკებისათვის.

◆ ◆

უცხოეთი

—

აღმოსავლეთის საქმე. როგორც დეპეშამა და გაზეთებმა გვაცნობეს, რუსეთის მთავრობამ აღესიდგან კრიტში 757 ჯარის კაცი, 15 აფიცერი, ექიმები, სურსათისა და დაჭრილებისათვის ეტლები, 20 ცხენი და სამთო არტილერია გაჰგზავნა. თითოეულმა დიდმა სახელმწიფოებმაც, გარდა გერმანიისა, თავისის მხრივ ამდენივე ლაშქარი გაჰგზავნა. კრიტელების დასატუქსად, შეიძლება, ეს საკმარისიც იყოს, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, საბერძნეთს ასეთი მუქარა არ აშინებს და თავის მხრივ ოსმალეთთან ომის გამოცხადებით ემუქრება ევროპას. კვირის ნომერში ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ, როგორც ერთი გაზეთის კორესპოდენტი იუწყება, საბერძნეთის თავისუფალ ჯარის-კაცთა რაზმმა ოსმალეთის საზღვარი გადავლო და მაკედონიაში ამოჰყო თავიო. როგორც გუშინდელ დეპეშიდგანა სჩანს, ეს ამბავი მართალი ყოფილა. იგივე დეპეშა გვაცნობებს—თუ ოსმალეთის ჯარის მთავარ-სარდალი დარწმუნდა, რომ იმ რაზმში საბერძნეთის მუდმივი ჯარის-კაცნიც ურევიან, ნაბრძანები აქვს,—ლაშქარი მზად იყოს, რომ საზღვარი გადავლოს და საბერძნეთს შეესიოსო. ამასთანავე დეპეშაშივე ნათქვამია, რომ საბერძნეთის ვალანტიორები ოსმალეთის ჯარს ხშირად თავს ესხმიან, და იმ ვალანტიორთა შორის ხშირად ბევრი მუდმივი ჯარის კაციც ურევიაო. ყველა ეს ცნობა ნათლად გვაჩვენებს, რომ ომი აუცილებელი უნდა იყოს და თუ მაინცა-და-მაინც არ მოხდა, ეს რაიმე შემთხვევას უნდა მიეწეროს. თუ ნაუწყები ამბავი გამართლდა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა ათინის ნავთ-საყუდელს ალყა უნდა შემოარტყაონ, ეს ბერძნებს კიდევ უფრო გაამწვავებს და მათს უკან დაწევას შეუძლებელ ჰყოფს.

ლონდონის გაზეთი „სტანდარდი“, რომელმაც საბერძნეთის ამბები ძლიერ კარგად იცის, უკეთ—ვიდრე სხვა რომელმამე გაზეთმა, აი რას ამბობს: ადვილად შესაძლებელია, რომ თუ ათინის ყურეს ალყა შემოარტყეს, მშვიდობიანობის დაცვა მეფის ხელთ აღარ იქმნასო. ეს გარემოება ისე აღელვებს ხალხს, რომ მთავრობა იძულებულ შეიქმნება, თესალიის მხრივ ოსმალეთს თავს დაესხასო. საპოლიტიკურ წრეებში ეს გარემოება სახეში ჰქონდათ, დიდს ყურადღებას აქცევდნენ და ამითი აიხსნება, რომ საბერნეთის ნავთ-სადგურების ალყის შემორტყმას ზოგიერთი დიდი სახელმწიფო არ აჩქარებდაო.

ინგლისის გაზეთის მოსაზრებას გერმანიის გაზეთიც „ბერლინერ ტაგებლატტი“ ბანს აძლევს და თითქმის იმასვე ამბობს, რასაც პირველი. ამ გაზეთის სიტყვით, საბერძნეთის მეფე გიორგის რუსეთის ათინელ ელჩისათვის უთქვამს: ძალიანაც რომ მსურდეს მშვიდობიანობის დაცვა, ამას მაინც ვერ მოვახერხებ, რადგან გარემოებანი ჩემს სურვილზედ უფრო ძლიერი არისო. ეხლანდელი სისხლის ღვრა არავისთვის დაფარული არ არის და იგი მაკედონიის საზღვრებზედ მყოფს ჯარს და თვით მაკედონელ ბერძენთ ძლიერ აღელვებსო. კრიტის მაგალითი თვალწინ გვაქვს, რომ დიდნი სახელმწიფონი მაკედონიაში ვერას გახდებიან, საცა ამბოხება დიდად არ დაიგვიანებსო.

საქმის ეხლანდელ ვითარების შესახებ ამ აზრისანი არიან, როგორც საბერძნეთის მპყრობელნი და მმართველნი, ისე ევროპის გამოჩენილი გაზეთებიც. ამასვე ამტკიცებს ყოველ დღიური ცნობები და ფაქტები. ამ მხრივ საყურადღებოა ერთს რუსულს გაზეთში დაბეჭდილი, პირეიდგან მოსული, კორესპონდენცია, რომელიც თვალსაჩინოდ გვიხატავს, იქაური ბერძნები ოსმალელთა წინააღმდეგ როგორ არიან აღელვებულნი. ამ დღეებში კონსტანტინეპოლიდგან პირეიში ერთი საზოგადოების გემი მისულა, რომელზედაც ოსმალეთის დროშა იყო გაშლილი. პირეიდგან იგი გემი კანეას აპირებდა წასვლას, საცა ოსმალეთის ჯარისათვის სოომარი იარაღი და სურსათი მიჰქონდა. ბერძენთა შეიარაღებული ბრბო ავარდნილა გემზედ და რაც-კი რამ ხელში მოჰყოლია, ყველაფერი ზღვაში გადაუსროლია. მეორეთ კიდევ ალექსანდრიიდგან მომავალს გემზედ ავარდნილა ბრბო. ამ გემით თურმე ერთი სომეხი მოჰყავდათ, რომელიც კონსტანტინეპოლიდგან ეგვიპტეში იყო გაქცეული და ოსმალეთის მთავრობას იქ შეუპყრია იგი. ბერძენთა ბრბოს თოფის სროლა დაუწყია, ერთი ჟივილ-ხივილი აუტეხია, ტუსაღი გემიდგან გამოუტაცნია და გაუნთავისუფლებია.

ვისი იმედი აქვს საბერძნეთს, თუ ოსმალეთს ომი გამოუცხადაო? კითხულობს ერთი დარბაისელი გაზეთი და პასუხსაც თითონვე იძლევა: ინგლისის პარლამენტში გარკორტმა განაცხადა, რომ დედოფალს ვიქტორიას ადრესს მივართმევ და ვსთხოვ, —ინგლისის ჯარი საბერძნეთისა და კრიტელების წინააღმდეგ არ ამოქმედოსო. თუ გარკორტმა ეს საქმე ითავაო, დასძენს გაზეთი, დედოფალს არ შეუძლიან, რომ ინგლისის მკვიდრთა საუკეთესო ნაწილს ასეთის კეთილშობილურისა და კაცთმოყვარე წინადადების შესახებ უარი უთხრასო. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ დედოფალმა მოკლე ხანში დიდ ბრიტანიის ტახტზე ასვლის სამოცი წელი უნდა იდღესასწაულოსო.

◆ ◆

ნაკვესი

—

— ერთმა ბედოვლათმა კაცმა უთხრა თავისს მეგობარს: მე საშინლად მეშინიან, რომ სამარხიც არა მქონდეს, როცა მოვკვდებიო.

— ეგ კიდევ რა! უპასუხა მეგობარმა: მე უფრო უარესისა მეშინიან: ვაი თუ ისე მოგიხდეს, რომ ცოცხალი იყო და საჭმელიც არა გქონდესო.

* * *

ერთი ვაჟბატონი შემოსწყრომია თავისს მეზობელს და ჯავრის ამოსაყრელად მისულა და იმის კარებზედ დაუწერია: „ვირი". მეზობელს რომ ეს უნახავს, როცა შინ დაბრუნებულა, მეორეს დღესვე ვიზიტი გადაუხდია და მოსამსახურისათვის უთქვამს: გუშინ შენი ბატონი ჩემთან ყოფილა, ურეკნია ზარი და, რადგანაც არავის გაუღია, კარებზე თავისი სახელი დაუწერია. აი ჩემი სავიზიტო ბარათი მიართვი და მოახსენე, რომ მე ვიზიტის გადასახდელად ვიახელ.

* * *

რკინის გზით მიდიოდა ორი ქალი. ქალებმა თავისებურად მორთეს ლაპარაკი და დაუცხრომლად ტიტინებდნენ. ერთი მათგანი მიუბრუნდა იქვე მჯდომელს მამა-კაცს და ბოდიში მოითხოვა:

— ხომ არ გიშლითო.

— არა, ბატონო, მე ეს ოცი წელიწადია, რაც ცოლი მყავს და ჩვეული ვარო.

◆

ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ერთს მკურნალს კამოუკვლევია, რომ ძმარი დიდი გამოსადეგი არისო მრავალ სხვა-და-სხვა ავადმყოფობის მოსარჩენად. სხვათა შორის ძმარი საუკეთესო წამალია ციებისა, სახადის, ქუნთრუშის, ყვავილისა და სხ. თუ ყელის ტკივილი ანთებით არის გამოწვეული, საკმარისია თურმე კაცმა პირში ძმარ-გარეული წყალი ჩაიყენოს და პირი გამოივლოს. აგრეთვე კარგი წამალი ყოფილა ძმარისისხლის დენის შესაწყვეტად, რითიც უნდა იყოს გამოწვეული ეს ავადმყოფობა, საშვილოსნოს დაავადებით, ბუასილით, ფილტვების ავადმყოფობით და სხვ.

სიყვითლესაც არჩენს თურმე ძმარი, მხოლოდ ეს კი არის, რომ ძმრის ხმარება საჭმელში სიფრთხილით უნდა და უნდა ეცადოთ, არ გადაამეტოთ. ძმარი უფრო სასარგებლო და უვნებელია მაშინ, როდესაც მცენარეობისაგან გაკეთებულ საჭმელში ჰხმარობს კაცი.

თუ კაცი ძლიერ არის დამთვრალი, ორიოდე ჩაის კოვზი ძმარი რომ გადააყლაპოთ, ძლიერ უშველის და მალე გამოფხიზლდება.

⁂

ხშირად ადამიანს ცხვირიდგან სისხლი წამოუვა და ვერაფრით ვერ შეაყენებს. ამ შემთხვევაში უებარია შემდეგი საშუალება: აიღეთ ბამბა, დაასველეთ სკიპიდარში, რომელიც ყველა აფთიაქში იყიდება (очищенный скипидаръ) და დაიცევით ცხვირის ნესტო, ცოტა ხანს შემდეგ სისხლის დენა ცხვირიდგან უეჭველად შესწყდება.

⁂

დამწვრის წამალი ათას გვარია, მაგრამ როგორც მკურნალები ამტკიცებენ, შემდეგი წამალი ყველაზედ უკეთესი არის: აიღეთ ცოტა ზეითუნის ზეთი, ამდენივე ცილა კვერცხისა და ნაღები, გააკეთეთ მალამო, წაუსვით დამწვარს ადგილს და დღეში რამდენჯერმე უცვალეთ.

◆

ახლად გამოცემული წიგნები

—

ჩვენ მივიღეთ „ახალი მკითხველის" მიერ გამოცემული პირველი წიგნი „როგორ ცხოვრებდნენ ადამიანები ძველად", თხზ. დ. კუდრიავსკისა, თარგმანი ი. კვიცარიძისა. წიგნი შეიცავს პირველ ყოფილ ადამიანის ცხოვრების თანდათან განვითარების ისტორიას, მაგალითად, მის ნივთიერ მოწყობილობას, იარაღებს, მცენარეების შემუშავებას, კაცსა და ქალს შორის შრომის განაწილებას საზრდოს მოსაპოვებლად, პირველ ყოფილი ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრების მიმოხილვას, ადამიანის ენის შემქნელ პირობებს, ენის თანდათან განვითარებას და სხვანი. ენა საკმაოდ კარგი და ადვილ-გასაგებია. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ღირს გაგზავნით 25 კაპ. ეს წიგნი ქართველი მკითხველისათვის ფრიად სასარგებლოა, თუმცა ზოგიერთი საკითხები მეტად მოკლედ და გაკვრით არის ნახსენები.

„ახალის მკითხველის" მეორე წიგნი „შრომა და კაპიტალი" ბ-ნ სვიდერსკისა გამოვა აპრილის გასულს რიცხვებში.

—

მოგვივიდა ახლად დაბეჭდილი წიგნაკი „აკაკი" ზ. ჭ—ძისა. წიგნაკში აწერილია ჩვენის პოეტის ცხოვრება და მოღვაწეობა. იგი შეიცავს 77 გვერდს და ჰღირს 15 კაპ.

—

დაიბეჭდა აგრეთვე ქართულს ენაზედ ნ. ა. რუბაკინის ცნობილი წიგნი ,,ბუნების საოცარი და მრისხანე მოვლენები'', თარგმანი სევ. ჯუღელისა. წიგნში ჩართულია ათამდე სურათი ბუნების სხვა-და-სხვა მოვლენათა შესახებ. წიგნი საკმაოდ მარტივის ენით არის ნათარგმნი, სუფთად დაბეჭდილია, შეიცავს 120 გვერდს პაწია ზომისას და ჰღირს 15 კ., რაც ძვირი არ არის.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 მარტი

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: ინიშნება: გვარდიის ქვეითა ჯარის 1 დივიზიის უფროსი გენ.-ად. თავ. ობოლენსკი — გვარდიის კორპუსის უფროსად.

ვენა. იმპერატორი პეტერბურგს წაბრძანდება 13 აპრილს. მის უდიდებულესობის ამალაში არიან: გარეშე საქმეთა მინისტრი გოლუხოვსკი, საგანგებო ელჩი ზვეზდინეკი, მერეი, გენ.-ად. პაარი და ბელფრასი, 3 ფლიგელ-ადიუტანტი, ავსტრი-უნგრეთის რწმუნებული პეტერბურგში კლეპში და სხვ. ერცჰერცოგის ამალაში, რომელიც პეტერბურგს მიდის, არიან: ობერ-გოფმეისტერი თავ. მონტენუოვო და პორუჩ. გრ. ლედებური.

ლონდონი. გაზეთ „Times"-ს დეპეშით სწერენ კანეიდგან, რომ ავსტრიის ადმირალმა კისამოში მოსვლისათანავე გაჰგზავნა ნავები გამოქცეულ მაჰმადიანთა წამოსაყვანად. ნავები რომ მიუახლოვდნენ ნაპირს, მეამბოხეებმა თოფის სროლა დაუწყეს. სამხედრო გემებმა მეამბოხეთ 80 ჯერ ესროლეს ზარბაზნები. ოცდა-ათამდე მაჰმადიანი ქალი და კაცი ნაპირისაკენ გაიქცნენ და ნავებში ჩასხდნენ, მეამბოხენი ამ დროს თოფებს ესროდნენ. ჰფიქრობენ, რომ მრავალი მეამბოხე მოკლულ იქმნაო.

ლონდონი. ელასონიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ გრევენის მახლობლად თავისის ნებით ჯარში გასული ბრბო ბერძნებისა ოსმალეთში გადავიდა. ოსმალთა ჯარმა სროლა დაუწყო. ბრძოლა არ გათავებულა. ედხემ-ფაშამ ბრძანება გასცა მომზადებისა.

ელასონა. თესალიის ჯარის მთავარ-სარდალს ბრძანება მოუვიდა, ჯარით გადადით საბერძნეთის საზღვარს, თუ დამტკიცდა, რომ ოსმალეთში გადმოსულ ბერძენთა შორის გაწვრთნილი ჯარიც ყოფილა. ოსმალეთის ჯარი კვლავ გარს ერტყმის ბერძენთა ბრბოს, რომელიც საცაა სამსავე მხრიდგან აღმოჩნდება გარს შემორტყმულ ცეცხლში. ახლად მოსულ ცნობებით მტკიცდება, რომ საბერძნეთისა და ოსმალთა ჯარებ შორის შეჯახება მომხდარა. ედხემ-ფაშა საომრად გასვლის ბრძანებას მალე გასცემს მთელს ჯარსა. მეამბოხეთა შორის საბერძნეთის ჯარის-კაცნი უნახავთ. საქმეთა ვითარება მეტად საშიშია.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის უმთავრესი შტაბი ოფიციალურ დეპეშებით იუწყება, რომ მეამბოხენი ოსმალეთში გადმოვიდნენო მეტცაროსაკენ. ოსმალეთის უმთავრესმა შტაბმა ყოველგვარი ღონისძიება იხმარა, რომ გარს შემოერტყას მეამბოხეთ მთიდგან ჩამოსვლის დროს და საბერძნეთში დააბრუნოს. ოფიციალურ დეპეშებში არავითარი ცნობა არ არის მეამბოხეთა და ოსმალეთის ჯარს შორის ბრძოლის შესახებ.

კონსტანტინეპოლი. სერბიისა და ბოლგარიის სადიპლომატიო აგენტებმა ილდის-კიოსკში განაცხადეს, რომ, თუ ვინიცობაა საბერძნეთმა ომი დაიწყო, სერბია და ბოლგარია ამ ომში არ გაერევაო.

სოფია. სულთანის ირადემ იმის შესახებ, რომ სერბიის სკოლა გაიმართოს პრილიპში (მაკედონიაში), დიდი აღელვება გამოიწვია. ბოლგარელებმა გადასწყვიტეს, ვინც ამ სკოლაში შვილებს გაჰგზავნის, წმიდა საიდუმლოს მიღება ავუკრძალოთო.

ცეტინიე. სერბიის მეფე მობრძანდება აქ 4 მაისს.

31 მარტი

კონსტანტინეპოლი. გუშინ გავრცელდა წიგნაკი, რომელშიაც სწერია, კრიტის კუნძულზედ ქრისტიანები მეტად სასტიკად ექცევიან მაჰმადიანებს და შური უნდა ვიძიოთო. პროვინციებიდგან იწერებიან, რომ მაჰმადიანები ძლიერ აღელვებულნი არიან ქრისტიანების წინააღმდეგო, განსაკუთრებით ალბანიაში. კონსტანტინეპოლის მცხოვრებნი მაჰმადიანებიც ძლიერ აღელვებულნი არიან თურმე კრიტის კუნძულზედ მომხდარ ამბებით. ვალში ბაში-ბუზუყებმა გაძარცვეს იარაღის დუქნები.

ათინა. გუშინ, დილის 11 საათზედ, შესწყდა საზღვარზედ თოფის სროლა მაჰმადიანთა და ბერძნებ შორის. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა არტილერია და ევზონები.

კანნი. გარდაიცვალა ჰერცოგი ფრიდრიჰ ფრანცი მეკლენბურგ-შვერინისა, 46 წლისა.

კონსტანტინეპოლი. ეთხემ-ფაშა დეპეშით იუწყება, რომ 29 მარტს საბერძნეთის ჯარი გადავიდა საზღვარს კრონიდგან ორის საათის სავალ მანძილზედ ბუკითა და საყვირით, ზარბაზნები დაუშინა ბალტიმოში დროებით აგებულ სიმაგრეს, დაანგრია სიმაგრე და დასწვა საყარაულოები ვენიკასა, კიოტას და სტრუნეაში. პორტამ მიჰმართა დეპეშით თავისს ელჩებს და სწერს, საბერძნეთმა პირველმა დაიწყო სატევი ომი და ამიტომ პასუხის-მგებელიც ის უნდა იყოსო.

კონსტანტინეპოლი. კასოვასა და პრიზრეტში შედგენილ იქმნა რედიფის ჯარის ახალი სამი სათადარიგო დივიზია. ამას გარდა, პორტამ ნება დართო შედგენილ იქმნას კასოვის ვილაეტში თავის ნებით ჯარში გასულთა 4 რაზმი იანინში გასაგზავნად. თითო რაზმში 2500 კაცია. რკინის გზებს გამოეცხადა, რომ რედიფების ჯარის მეშვიდე დივიზია რომელიც უკან იქმნა დაბრუნებული კვლავ საზღვარზედ მომხდარ ამბისა გამო, ისევ თესალიის საზღვრისაკენ უნდა წაიყვანონო. ჯარი მიჰყავთ კიდეც.

◆

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

„ივერიის" მე-17 №-ში ქუთაისის სასამართლოს მატიანეა, რომელიც ასე იწყება: „ქუთაისში მომრიგებელ-მოსამართლემ განიხილა მეწაღე კობახიძის საქმე, რომელიც კარგად ასურათებს ზოგიერთის კაცის საჩივრებში და სასამართლოებში ხეტიალის სიყვარულსაო." რადგან ეს მატიანე სიმართლეს მოკლებულია, საჭიროდა ვთვლი ვაუწყო მკითხველს საზოგადოებას ამ საჩივრის ნამდვილი გარემოებანი.

1894 წ. 1-ლ მარტიდგან ექიმი ნაზაროვი შემეკრა პირობით, რომ წლის განმავლობაში მხოლოდ იმ ერთისთვის ჩამეცმია წაღები, რისთვისაც იმას უნდა მოეცა ოცი მანეთი. პირველ მარტს წაიღო რა ჩემგან ერთი წყვილი წაღები, მთელი ზაფხული ატარა და მერე მეორე მოითხოვა, თუმცა პირველები ისევ მთელები იყო. მე აუსრულე თხოვნა და ჩემი ხვედრი ფული მოვთხოვე, იმანაც მომცა ხვედრიდგან ერთი თუმანი და მეორე ნახევარი ისევ იმაზედ დარჩა. ამის შემდეგ ვნახე, რომ ჩემი შეკერილი ძველი წაღები ნაზაროვის მზარეულს ეცვა, ახალი-კი ბატონს. ასე ატარა ორმა კაცმა ჩემი შეკერილი წაღები რამდენიმე თვე, რაც პიროპის დარღვევა იყო, მაგრამ მე ხმა არ ამომიღია. დადგა ახალი 1895 წელი და სადღესასწაულოდ ნაზაროვმა კიდევ მომთხოვა მესამე წყვილი წაღები, თუმცა წინად წაღებული ისევ მთელი იყო. მეტი რა გზა მქონდა, ეს მოთხოვნილებაც შევუსრულე, და ფული-კი არ მომცა და არც ძველი წაღები დააბრუნა, თუმც პირობით-კი უნდა დაებრუნებინა. როცა გათავდა ვადა პირობისა, ის კიდევ ჩემ შეკერილ წაღებს ატარებდა და მე მეგონა, რომ მეორე წელსაც კიდევ უნდა პირობის განახლება-მეთქი, რადგანაც არც წაღებს იძლეოდა და არც დანარჩენ ფულს. გავიდა ვადის შემდეგ რამდენიმე დღე, მე ვთხოვე დანარჩენი ფული და წაღები, მაგრამ იმან არ ინება მოცემა და გაგზავნილი კაცი წყრომით გამოაგდო ყოვლის უმიზეზოდ, როგორ მიბედავ თხოვნასაო. მე სხვა სახსარი არა მქონდა, იმის გარდა, რომ სასამართლოსათვის მიმემართა. ამიტომ ვუჩივლე ნაზაროვს პირობის დარღვევისათვის და ხვედრის ფულის გადასახდევინებლად. მოსამართლემ ექიმი ნაზაროვი მტყუვნად იცნო, რისათვისაც გარდაუწყვიტა ფულის გადახდა და აღმასრულებელი ფურცელი მომცა. ხოლო ის წაღები, რომელიც ჩემგან ჰქონდა წაღებული, აღარ გაახდევინეს.

აი ასე იყო საქმე და კორესპოდენტი-კი მწამებს სასამართლოებში ხეტიალის სიყვარულს და ამბობს, მოსამართლემ საჩივარი არ შეიწყნარაო. მაშ რაღად მომცა აღმასრულებელი ფურცელი, თუ არ შეიწყნარა საჩივარი?!..

ა. კ—ძე.

◆

პატენტ-ბოძებული თვით მოქმედი მანქანა ,,სიფონია" ვენახებისა, ბოსტნებისა და ხეხილების სამკურნალოდ უფრო კარგად ასხურებს წამალს, ვიდრე სხვა რომელისამე სისტემის მანქანა. ხმარების დროს შეკეთება სულ არა სჭირდება. ამითი დიდად იზოგება დრო და მასალა

ისყიდება: ივანე კულიჯანოვის მაღაზიაში ქ. თელავს.

ე. ფ. აუფერმანის საწყობის განყოფილებაში, ქალაქ სიღნაღს, შავერდოვების ქარვასლაში.

ე. ფ. აუფერმანის საწყობში, ტფილისს, მიხეილის ქუჩაზედ № 117.

20—6.—11)

წლეულს

„მეურნე"

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

წელს რედაქცია წინანდელებრ ერთგულად ეცდება გამოარკვიოს საქართველოს სასოფლო მეურნეობის საგნები, როგორც უმთავრესი დარგი თავისი პროგრამისა, იმავ დროს უფრო მეტს ყურადღებას მიაპყრობს ეკონომიურსა და საჰიგიენო ნაწილს ჟურნალისას. თანამშრომლების მიმატება მწერლობაში ცნობილ პირთაგან სრულ იმედს გვაძლევს, რომ 1897 წელს გაუმჯობესებულად შევსძლებთ მარჯვეთ ვემსახუროთ გონიერს საგნებზე და არსებითს საქმეებზე კითხვას მოწყურებულს ქართველს საზოგადოებას.

ჟურნალის გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს: ქუთაისში „მეურნის" რედაქციას, გეგუთის ქუჩის გადასახვევში, ჭყონიას სახლში, № 10; „მეურნის" რედაქციის სტამბას, თბილისის ქუჩაზე, ნ. სვიმონოვის შენობაში, გუბერნატორის სახლის პირდაპირ.

რედაქციას მომავალ წლისათვის მზადა აქვს შემდეგი წერილები 1) ვაზი, მისი მოშენება და მოვლა, პროფესორის გ. პეტრაშეილისა; 2) მადნები ქუთაისის არე-მარეში, ბ. დვალიშვილისა; 4) კოოპერატიული საზოგადოებანი, ი. ზუმბაძისა და სხ.

მეურნის ფასი—წლით 4 მანეთი, ნახევარი წლით 2 მანეთ ნახევარი.

წლიურ ხელისმომწერთ დამლევამდე მიეცემათ ხუთმეტი ძირი ამერიკული ვაზისა

ფოსტის ადრესი: Кутаисъ. Редакція „МЕУРНЭ" (5—5)

Дозволено цензурою, Тифлисъ 31-го Марта 1897 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.